პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში იგეგმება ონის მუნიციპალიტეტში 2 ბიზნეს კლასტერის შექმნა (თითოეულში მინიმუმ 15 წევრი მიკრო, მცირე და საშუალო კომპანია). კლასტერების და მათი წევრი მცირე და საშუალო კომპანიების უნარების გაუმჯობესება და საპილოტე პროექტების განხორციელება ქვე-გრანტის კომპონენტის საშუალებით. საინვესტიციო მიმზიდველობის გაუმჯობესება.

პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოების გაზრდილი კონკურენტუნარიანობა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ინვესტიციების ზრდა. გაუმჯობესებული სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება, საინვესტიციო



მიმზიდველობის გაუმჯობესება.

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 818.7 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის პროექტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	818.7
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	705.2
03 02	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახური	103.5
03 03	უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებები	10.0

2.1. პროგრამის დასახელება დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 01)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ონში და მუნიციპალიტეტის სოფლებში დასუფთავებისა და მასთან დაკავშირებულ მომსახურებას; მოხდება შეგროვილი ნარჩენების ტრანსპორტირება ნაგავსაყრელ პოლიგონზე, ტერიტორია სადაც დგას ბუნკერები დღის განმავლობაში მუდმივად დასუფთავდება, დაცული იქნება მოედნების და სკვერების გამწვანების ზოლი ცხოველების დაზიანებისაგან, მოხდება 7 (შვიდი) ერთეული ბიო ტულაეტების მოვლა-დასუფთავება, მოეწყობა სეპარირებული ნარჩენების შესანახი სათავსო, ასევე მოხდება დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების ორგანიზება ქალაქ ონის მოსახლეობიდან, ეტაპობრივად დასუფთავების არეალი გაიზრდება.

ქვეპროგრამის მიზანია: ნარჩენების შეგროვების ეფექტურობის გაზრდა, რათა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შევინარჩუნოთ უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა გარემო.

მოსალოდნელი შედეგი: დასუფთავებული, უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა გარემო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

2.2. პროგრამის დასახელება ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახური (პროგრამული კოდი 03 02)

განმახორციელებელი: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქ ონში არსებულ სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიები: ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი მაქსიმალურად გაზრდილი რეკრეაციული ზონები და მოვლილი მწვანე ნარგავები.

მოსალოდნელი შედეგი: ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება; ქალაქის ტერიტორიის ლამაზი, მოვლილი და მიმზიდველი გარემო.



2.3. პროგრამის დასახელება უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიება (პროგრამული კოდი 03 03)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული უმეტესაწესრიგად დარჩენილი ძაღლების თავშესაფარში დროებით გადაყვანის და შესაბამისი მომსახურების გაწევის დაფინანსება. **პროგრამის მიზანია:** მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.

მოსალოდნელი შედეგი: ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება; ქალაქის ტერიტორიის ლამაზი, მოვლილი და მიმზიდველი გარემო

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 617.9 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის პროექტი
04 00	განათლება	617.9
04 01	სკოლამდელი განათლება	430.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	-
04 03	განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა	-
04 04	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	177.0
04 05	წარმატებული სტუდენტებისათვის მერის სტიპენდიის გაცემა	10.9

3.1. პროგრამის დასახელება სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

განმახორციელებელი: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღი

პროგრამის აღწერა და მიზანი:

ბაგა-ბაღი მიზნად ისახავს სკოლამდელი ასაკის ბავშვების ჰოლისტურ განვითარებას, ინკლუზიურ განათლებას, აღსაზრდელების უსაფრთხოებასა და საუკეთესო ინტერესების დაცვას, სტანდარტის შესრულების გაძლიერებას, ბავშვთა სკოლისათვის მომზადებას. აღმზრდელების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად გადამზადებას და ავტორიზაციისათვის მომზადებას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 1 ბაგა- ბაღი სადაც დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 160 ბავშვის სწავლება, სოფელ გოლოლაში არის საბავშვო ბაღი, კვებით უზრუნველყოფით,სოფლებში ბავშვთა კონტიგენტის და მშობელთა მომართვიანობის შესაბამისად გაიხსნება სასკოლო მზაობის ცენტრები შესაბამისი მომსახურებით. სულ სკოლამდელ დაწესებულებაში დასაქმებულია 44 თანამშრომელი. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა,



ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ჰასპის პროგრამის დანერგვა.

პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 2-დან 6 წლამდე ბავშვის უზრუნველყოფა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესით; სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვების მზაობა შესაბამისი განათლების მიღებისათვის; ბავშვების ოპტიმალური ზრდისა და განვითარების უზრუნველსაყოფად შესაფერისი გარემოს შექმნა.

მოსალოდნელი შედეგი: სკოლამდელი აღზრდის დასებულების მომსახურებით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვები; სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვების მზაობა შესაბამისი განათლების მიღებისათვის;

3.2. პროგრამის დასახელება საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 04 04)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამით გათვალისწინებულია სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა ისეთი სოფლებიდან, სადაც არ არის საჯარო სკოლა, ბავშვების გადაყვანას ახლო მდებარე საჯარო სკოლებში და მათ უკან სახლში დაბრუნებას.

პროგრამის მიზანია: ყველა მოსწავლისათვის სკოლაში მისასვლელი უსაფრთხო ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შედეგი: საჯარო სკოლებში მოსიარულე მოსწავლეთა გაზრდილი რაოდენობა უსაფრთხო ტრანსპორტის ხელმისაწვდომობით.

3.3. პროგრამის დასახელება წარმატებული სტუდენტებისათვის მერის სტიპენდიის გაცემა (პროგრამული კოდი 04 05)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამით გათვალისწინებულია საქართველოს ტერიტორიაზე ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული საუკეთესო შედეგის მქონე წარმატებული სტუდენტებისათვის ონის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიის გაცემა.

პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში მცხოვრები წარმატებული სტუდენტი ახალგაზრდების მხარდაჭერა მაღალი აკადემიური განათლების მისაღებად, მათში მოტივაციის შექმნა.

მოსალოდნელი შედეგი: სტუდენტების დაინტერესება მიაღწიონ სწავლაში მეტ წარმატებას; წარმატებული სტუდენტების გაზრდილი რაოდენობა.

4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1,334.7 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის პროექტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1,334.7



05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	405.4
05 01 01	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი	239.9
05 01 02	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი მამისონი	132.5
05 01 03	ა(ა)იპ „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი - ამარანტები“	25.0
05 01 04	წარმატებული სპორტსმენების დახმარება	8.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	693.1
05 02 01	სახელოვნებო სკოლის ხელშეწყობის ღონისძიებები	114.5
05 02 01 01	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის ზურა ბაკურაძის სახელობის სამუსიკო სკოლა	56.0
05 02 01 02	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა	58.5
05 02 02	კულტურის ცენტრის დაფინანსების ღონისძიებები	242.3
05 02 03	მუზეუმის ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები	75.8
05 02 04	ბიბლიოთეკის დაფინანსების ღონისძიებები	97.5
05 02 05	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი	52.0
05 02 06	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	111.0
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	112.3
05 04	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	123.9
05 04 01	მოსწავლე ახალგაზრდობის ღონისძიებების დაფინანსება	86.0
05 04 02	ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების მხარდაჭერა	37.9

4.1. პროგრამის დასახელება სპორტის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 01)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამა ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სპორტული მიმართულების ორი ა(ა)იპ-ის ფუნქციონირებას, რომელიცაა ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი და ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონი, ასევე პროგრამის ფარგლებში მოხდება წარმატებული სპორტსმენების დახმარება. სკოლებში ფუნქციონირებს და ბავშვები ეუფლებიან სხვადასხვა სპორტული მიმართულებებს, იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა შეკრებებსა და ღონისძიებებში.

პროგრამის მიზანია:

- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;
- მეტი მოზარდის ჩაბმა სპორტულ აქტივობებში, ბავშვებისა და მოზარდების მეთოდური აღზრდა/დაოსტატება;



- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა, როგორც ქვეყნის მასშტაბით ასევე საზღვრებს გარეთ. სპორტული ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩატარება.

- წარმატებული სპორტსმენების წახალისება მომავალი უკეთესი შედეგების მისაღებად.

მოსალოდნელი შედეგი: სპორტული წრეებით სარგებლობის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა; ჯანსაღი ცხოვრების წესით დაკავებული ახალგაზრდობა; წარმატებული სპორტსმენები და მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდები სპორტის სხვადასხვა სფეროში.

4.1.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: სასპორტო სკოლის კომპლექსი აერთიანებს 3 სპორტულ მიმართულებას, ესენია: თავისუფალი ჭიდაობა (40 ბავშვი), ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (5 ბავშვი), კალათბურთი (35 ბავშვი) და ფრენბურთი (38 ბავშვი). სულ კომპლექსში სპორტის სახეობებს ეუფლება 118 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 4-ჯერ. კომპლექსში დასაქმებულია ჯამში 19 ადამიანი. კომპლექსის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას დებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ. დაგეგმილ ღონისძიებებსა და ტურნირებში მონაწილეობისათვის სპორტსმენების, მწვრთნელების და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას მგზავრობის, საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის და კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობის განსაზღვრა და მისი ანაზღაურება მოხდება ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ოქტომბრის N24 დადგენილების შესაბამისად.

ქვეპროგრამის მიზანია:

- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;
- მეტი მოზარდის ჩაბმა სპორტულ აქტივობებში, ბავშვებისა და მოზარდების მეთოდური აღზრდა/დაოსტატება;
- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა როგორც ქვეყნის მასშტაბით ასევე საზღვრებს გარეთ. სპორტული ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩატარება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: სპორტული წრეებით სარგებლობის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა; ჯანსაღი ცხოვრების წესით დაკავებული ახალგაზრდობა; წარმატებული სპორტსმენები და მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდები სპორტის სხვადასხვა სფეროში.

4.1.2. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონი (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საფეხბურთო სკოლა მამისონი, სადაც სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ფეხბურთს ეუფლება 48 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. კომპლექსში დასაქმებულია ჯამში 10 ადამიანი. კლუბის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას დებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში, რეგიონებში საქართველოს მთელი მასშტაბით. დაგეგმილ ღონისძიებებსა და ტურნირებში მონაწილეობისათვის სპორტსმენების, მწვრთნელების და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას მგზავრობის, საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის და კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობის განსაზღვრა და მისი ანაზღაურება მოხდება ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ოქტომბრის N24 დადგენილების შესაბამისად.

ქვეპროგრამის მიზანია:



- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;
- მეტი მოზარდის ჩართვა ფეხბურთში, ბავშვებისა და მოზარდების მეთოდური აღზრდა/დაოსტატება;
- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა, საფეხბურთო შეჯიბრებების მაღალ დონეზე ჩატარება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: ფეხბურთით სარგებლობის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა; ფეხბურთით დაკავებული მოზარდების გაზრდილი რაოდენობა; ჯანსაღი ცხოვრების წესით დაკავებული ახალგაზრდობა.

4.1.3. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ა(ა)იპ „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი ამარანტები“ (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი ამარანტები“

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება რაჭა, ლეჩხუმი, ქვემო სვანეთის რეგიონში რეგიონალური რაგბის კლუბი, სადაც სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში რაგბის დაეუფლებიან ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვები, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი ჩაუტარდებათ კვირაში 2-ჯერ. **ქვეპროგრამის მიზანია:**

- რაგბის განვითარება და პორულარიზაცია მუნიციპალიტეტში;
- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;
- მეტი მოზარდის ჩართვა რაგბში, ბავშვებისა და მოზარდების მეთოდური აღზრდა/დაოსტატება;
- რეგიონალური სპორტული შედეგების წარმოჩენა, შეჯიბრებების მაღალ დონეზე ჩატარება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: რაგბით სარგებლობის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა; რაგბით დაკავებული მოზარდების გაზრდილი რაოდენობა; ჯანსაღი ცხოვრების წესით დაკავებული ახალგაზრდობა;

4.1.4. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების დახმარება (პროგრამული კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ეროვნულ, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში გამარჯვებული სპორტსმენებისათვის, ონის მუნიციპალიტეტის წლის საუკეთესო სპორტსმენისათვის (ერთჯერადად) და სხვადასხვა ჩემპიონატში გამარჯვებული სპორტსმენის მწვრთნელისათვის ჯილდოს სახით ფულადი დახმარების გაცემა. **ქვეპროგრამის მიზანია:**

- სპორტსმენებისა და მწვრთნელების მოტივაციის ამაღლება მომავალი შედეგების გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა როგორც ქვეყნის მასშტაბით ასევე საზღვრებს გარეთ;
- სპორტის სახეობების განვითარება და პოპულარიზაცია.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: სხვადასხვა ჩემპიონატებში გამარჯვებული სპორტსმენების გაზრდილი რაოდენობა. წარმატებული სპორტსმენების მწვრთნელებზე გაზრდილი მოთხოვნა. დაინტერესებული ახალგაზრდების გაზრდილი რაოდენობა.



4.2. პროგრამის დასახელება კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამა ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სხვადასხვა კულტურული მიმართულების ა(ა)იპ ების ფუნქციონირებას, რომლებიცაა ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ზურა ბაკურაძის სახელობის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლი, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრი და კულტურული ღონისძიებების მოწყობა. პროგრამის ფარგლებში სახელოვნებო სკოლებში ბავშვები ეუფლებიან ფორტეპიანოზე დაკვრას, სახვითი ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებებს, ბავშვები დაკავებულნი არიან სხვადასხვა შემოქმედებით წრეებში, ხორციელდება ბიბლიოთეკისა და მუზეუმის დაფინანსება, ტურიზმის განვითარების განხრით სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება. **პროგრამის მიზანია:** შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; გამორჩეული შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; მუნიციპალიტეტში ადრე გავრცელებული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების შესწავლა და აღორძინება; კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ახლის მოძიება და შესწავლა; წიგნადი ფონდის დაცვა და პოპულარიზაცია; ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა; შესწავლილი და დაცული კულტურული მემკვიდრეობის ახალი ექსპონატები; გაზრდილი ტურისტული პოტენციალი;

მოსალოდნელი შედეგი: სახელოვნებო და შემოქმედებითი წრეებით დაკავებული ახალგაზრდების გაზრდილი რაოდენობა; გამორჩეული შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში მეტი ჩართულობა.

4.2.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის ზურა ბაკურაძის სახელობის სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის ზურა ბაკურაძის სახელობის სამუსიკო სკოლა

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლა სადაც დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 32 ბავშვი. ბავშვები ეუფლებიან ფორტეპიანოზე დაკვრას, ასევე სწავლობენ თეორიულ საგნებს. სამუსიკო სკოლაში დასაქმებულია 10 თანამშრომელი.

სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის **ქვეპროგრამის მიზანია:** შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეები ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე. მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილთა გაზრდილი მაჩვენებელი.

4.2.2. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამხატვრო სკოლა სადაც განათლებას იღებს ონის მუნიციპალიტეტში



მცხოვრები 87 ბავშვი. სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ხატვას, ფერწერას, კომპოზიციას, ძერწვას, თექას, ბატიკას, ხის მხატვრულ დამუშავებას, ქსოვას. სკოლაში სულ დასაქმებულია 10 თანამშრომელი.

ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული სამხატვრო ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: სამხატვრო განათლებაზე ბავშვებისა და მოზარდების გაზრდილი მოთხოვნა; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილთა გაზრდილი მაჩვენებელი.

4.2.3. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი კულტურის ცენტრის დაფინანსების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: კულტურის სახლში მოქმედებს სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის 6 შემოქმედებითი წრე: ქორეოგრაფიული, საესტრადო, ქართული ხალხური სიმღერის შემსწავლელი, ქართული ხალხური ინსტრუმენტების - ფანდურის შემსწავლელი და ქართული ხალხური ინსტრუმენტების - სტვირის შემსწავლელი, სასცენო მეტყველების შემსწავლელი წრეები, სულ წრეებში გაწევრიანებულია 180 ბავშვი. კულტურის სახლში დასაქმებულია შტატით 43 და შტატგარეშე 3 ადამიანი. ანსამბლები მონაწილეობას იღებენ საქართველოს მასშტაბით გამართულ სხვადასხვა ღონისძიებასა და ფესტივალებში. **ქვეპროგრამის მიზანია:**

- განახორციელოს მუნიციპალიტეტში ადრე გავრცელებული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების შესწავლა და აღორძინება.
- შეიმუშაოს სხვადასხვა კულტურული პროგრამა და უზრუნველყოს მისი განხორციელება.
- დაგეგმოს მასობრივი ღონისძიებები და უზრუნველყოს ფართო საზოგადოების ჩართულობა.
- მოაწყოს ექსპედიციები სხვადასხვა ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალის მოძიებისა და პოპულარიზაციის მიზნით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების გაზრდილი მოთხოვნა კულტურის სხვადასხვა სფეროს მიმართ; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილთა გაზრდილი მაჩვენებელი; ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდილი თაობა.

4.2.4. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი მუზეუმის ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელიც წარმოადგენს კულტურის, განათლების, მეცნიერების კერას. სადაც დაცულია 14 000-ზე მეტი ძირითადი და დამხმარე ექსპონატები მათ შორის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, შუასაუკუნეების რელიეფები, ნუმიზმატიკური, ხელნაწერი და ძველბეჭდური წიგნები, ხელნაწერი ისტორიული დოკუმენტები და სხვადასხვა პატარა კოლექციები. მუზეუმში დასაქმებულია 13 თანამშრომელი. მუზეუმი მასპინძლობს როგორც უცხოელ ასევე ადგილობრივ ვიზიტორებს, აწყობს არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, პალეონტოლოგიურ, ფოლკლორულ ექსპედიციებს რაჭის სხვადასხვა სოფლებში. მიმდინარეობს სამეცნიერო საგანმანათლებლო საქმიანობა და მჭიდრო თანამშრომლობა სხვადასხვა კვლევით დაწესებულებებთან.



მეცნიერთანამშრომლები მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა პროექტის ფარგლებში დაფინანსებულ ბუკლეტებისა და კატალოგების გამოცემაში. მუზეუმში ეწყობა სხვადასხვა მხატვრების სახვითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა, პრეზენტაცია ხდება სხვადასხვა წიგნების, ალბომებისა და კატალოგების. დეზინფიცია-დეზინექცია უტარდება მუზეუმის ფონდებში დაცულ ხისა და ტექსტილის ნიმუშებს.

ქვეპროგრამის მიზანია: სახვადასხვა სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება, ექსპონატების შეგროვება დაცვა პოპულარიზაცია, მჭიდრო თანამშრომლობა მოსწავლე ახალგაზრდობასთან, ვოლონტერებთან, საზოგადოების ფართო მასების აქტიური ჩართულობა ჩვენი კუთხის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შესწავლის საქმეში.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: დაცული და შესწავლილი კულტურული მემკვიდრეობის ექსპონატები; ვიზიტორთა რაოდენობის მატება.

4.2.5. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ბიბლიოთეკის დაფინანსების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა შედგება 1- ქალაქის და 17 სასოფლო ბიბლიოთეკისაგან. წიგნადი ფონდი შეადგენს სოფლად და ქალაქად -62408 ეგზემპლარს. ბიბლიოთეკაში დასაქმებულია 26 თანამშრომელი, რომელიც ემსახურება ყველა ასაკის მკითხველს. წლის განმავლობაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები. კითხვის სადამოები ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენები. დაგეგმილია წიგნადი ფონდების განახლება, შემეცნებითი შეხვედრების ჩატარება სკოლებში.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: მოსახლეობისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა, ჩართულობისა და დაინტერესების ზრდა.

4.2.6. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას; წინადადებების შემუშავება ტურიზმის პოტენციალის გაზრდის მიზნით; ტურიზმის სფეროში სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება შეგროვება; ტურიზმის სფეროში მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციიდან თანამშრომლობის გზით წინადადებების შემუშავება, ტურისტული მომსახურების სფეროში არსებული გამიცდილების გაზიარებისა და პრაქტიკაში დანერგვის მიზნით შესაბამისი პროექტების მომზადება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: გაზრდილი ტურისტული პოტენციალი და შემოსული ტურისტების გაზრდილი რაოდენობა.

4.2.7. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამების განხორციელება ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტში საერო-სადღესასწაულო დღეების აღნიშვნას, მუნიციპალური ღონისძიებები ახალი წელი; შშმ პირთა სიმღერის, ცეკვისა და ხელოვნების ინტეგრირებული კონკურს-ფესტივალი; ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავი ღონისძიებები; ინტელექტუალური კონკურსი "ეტალონი"; სამოყვარულო კალათბურთის გუნდისათვის ფორმების შექმნა; ჩემპიონატი ფეინთბოლში 2023 წ. **ქვეპროგრამის მიზანია:** კულტურულ ცხოვრებაში ფართო საზოგადოების ჩართვა; მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება; უზრუნველყოფილი იქნება კულტურულ ცხოვრებაში



შპმ პირთა ჩართულობა; სხვადასხვა კულტურის შეუზღუდავი თვითგამოხავისა და კულტურათა შორის დიალოგის გაღრმავება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: კულტურულ ცხოვრებაში ფართო საზოგადოების გაზრდილი ჩართულობა;

4.3. პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: სოფელ მრავალძალში წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის შენობაში მდებარე დამხმარე შენობის რეაბილიტაცია და სოფელ ლაჩთაში ეკლესიის ეზოს კეთილმოწყობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: მოვლილი და განახლებული რელიგიური ძეგლები.

4.4. პროგრამის დასახელება ახალგაზრდების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 04)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სადაც ბავშვები ეუფლებიან ფოლკლორს, ხალხურ საკრავებზე დაკვრის ხელოვნებას, საესტრადო სიმღერების შესწავლას, სასცენო ხელოვნებას, მხატვრულ კითხვას, საქართველოს ისტორიის შესწავლას, ჭადრაკის, ანა-ბანას, კომპიუტერულ ტექნოლოგიებს და საგნობრივი წრეებში ცოდნის გაღრმავებას. ასევე პროგრამის ფარგლებში მოხდება ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების მხარდაჭერა, რომლიც დაემხარება ახალგაზრდებს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში, მონაწილეობისა და გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარებაში და ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მონაწილეობის მიღებაში; ახალგაზრდების შეხვედრები თანატოლებთან და მონაწილეობის მიღება ახალგაზრდულ ღონისძიებებსა და ფორუმებში; ახალგაზრდების ჩართვა საგანამანათლებლო, შემეცნებით და სპორტულ ღონისძიებებში.

პროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; ახალგაზრდები იყვნენ აქტიური მოქალაქეები და მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და განახორციელონ საკუთარი იდეები და ინიციატივები.

მოსალოდნელი შედეგი: სახელოვნებო და შემოქმედებითი წრეებით დაკავებული ახალგაზრდების გაზრდილი რაოდენობა; საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართული ახალგაზრდების გაზრდილი რაოდენობა.

4.4.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი მოსწავლე ახალგაზრდობის ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 04 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სადაც მოქმედებს 9 წრე. აქედან 5 შემოქმედებითი, 3 შემეცნებითი და 1 საგნობრივი წრე. განათლებას იღებს ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 134 ბავშვი. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში დასაქმებულია სულ 15 თანამშრომელი. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ბავშვები ეუფლებიან ფოლკლორს, ხალხურ საკრავებზე დაკვრის ხელოვნებას, საესტრადო სიმღერების შესწავლას, სასცენო ხელოვნებას, მხატვრულ კითხვას, საქართველოს ისტორიის შესწავლას, ჭადრაკის, ანა-ბანას, კომპიუტერულ ტექნოლოგიებს და საგნობრივი წრეებში ცოდნის გაღრმავებას. **ქვეპროგრამის მიზანია:** შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის



შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; ფასიანი და საერო დღესასწაულების ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, საქართველოს ფარგლებში.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების გაზრდილი მოთხოვნა კულტურის სხვადასხვა სფეროს მიმართ; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილთა გაზრდილი მაჩვენებელი; ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდილი თაობა.

4.4.2. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 04 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებისთვის და სტრატეგიაში გაწერილი მიზნების მიღწევისთვის ონის მუნიციპალიტეტში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: საგანმანათლებლო მინიმუმ 3 პროგრამის მხარდაჭერა, რომელიც დაემხარება ახალგაზრდებს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში, მონაწილეობისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო კომპეტენციების განვითარებაში რისთვისაც ჩატარდება საგანმანათლებლო ტრენინგები და მომწაწილეობას მიიღებს 40 ახალგაზრდა მათ შორის 25 გოგო და 15 ბიჭი; ახალგაზრდების ჩართვა სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობის მიზნით; ქვეყნის მასშტაბით მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრების ტრანსპორტირება საბჭოს შეხვედრებზე და მათი გადაადგილება სხვადასხვა სოფელში წლის განმავლობაში ახალგაზრდებთან შესახვედრად, ასევე ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილ ფორუმებში მონაწილეობას, რომლებიც განკუთვნილი იქნება ახალგაზრდული საბჭოებისათვის, რომელთა შემადგენლობაში იქნება 8 გოგო და 2 ბიჭი; მასობრივი სპორტის პოპულარიზაციის მიზნით და სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობისათვის განხორციელდება მაგიდის ტენისის სამოყვარულო ჩემპიონატი, მომწაწილეთა შორის 25 ბიჭი და 5 გოგოა; მუნიციპალიტეტში მოეწყობა ღია-კინოთეატრის კონსტრუქცია, აღნიშნული ახალგაზრდული სივრცე ფუნქციურად დაიტვირთება სხვა ღონისძიებებთან ერთად და მოეწყობა მინიმუმ 15 კინოჩვენება; ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ონის მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეებში ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ ჩატარება. თამაშის თემატიკა იქნება თვითმმართველობა. პროგრამის ფარგლებში მოხდება საგრანტო პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაცია „ორბელიანი საქართველოს“ დაფინანსება. ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის პროგრამის საგრანტო კონკურსში მოპოვებული გრანტით „ონის მუნიციპალიტეტში თემატური საბჭოების შესაძლებლობებისა და ეფექტიანობის გაძლიერების“ ფარგლებში მოხდება ახალგაზრდებისათვის სწავლება-ტრენინგების მოწყობა.

ქვეპროგრამის მიზანია: პროგრამა ითვალისწინებს ისეთი ეკოსისტემის ჩამოყალიბების მხარდაჭერას, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდების ადამიანური და სოციალური კაპიტალის განვითარებას და სადაც ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა, იყვნენ აქტიური მოქალაქეები და მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და განახორციელონ საკუთარი იდეები და ინიციატივები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართული ახალგაზრდების გაზრდილი რაოდენობა; მომავლი პროფესიის არჩევისა და დასაქმების მეტი შესაძლებლობა; ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია ცნობიერების ამაღლება და კრიტიკული აზროვნების განვითარება.

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 532.0 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაჟივით:



პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის პროექტი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	532.0
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	55.0
06 02	სოციალური დაცვა	477.0
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	125.0
06 02 02	შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სოციალური დაცვა	25.2
06 02 03	ობოლი ბავშვების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვის შექმნასთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები	105.8
06 02 04	ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯი	0.5
06 02 05	სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დაცვა	69.2
06 02 06	9 და 26 მაისის, 8 მარტის, 17 ოქტომბერის და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით ვეტერანთა ერთჯერადი დახმარება	5.5
02 06 07	არასაკენსიო ასაკის შშმ პირების, სამამულო ომის ვეტერანებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და ინვალიდთა ოჯახების სოციალური დახმარების ღონისძიებები	2.0
02 06 08	ას წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ღონისძიებები	4.3
02 06 09	ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება	133.6
02 06 10	მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა	6.0

5.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო და საადმინისტრაციული დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო და საადმინისტრაციული დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული



იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება; ი) კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის დიაგნოსტიკის ხელშეწყობა. **პროგრამის მიზანია:** მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.

5.2. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ავადმყოფთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: 1. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევა მოქალაქეებს, თუ ისინი აუცილებლად საჭიროებენ სამედიცინო დიაგნოსტიკურ კვლევებს, სტაციონარში მედიკამენტურ მკურნალობას ან/და სასწრაფო ოპერაციას და მათი აღნიშნული მკურნალობის ხარჯებს სრულად არ ფარავს ჯანდაცვის არცერთი პროგრამა. დახმარების გაწევა მოხდება შემდეგნაირად: ა) მოქალაქეს, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში შეადგენს 0-დან 70 001-მდე, აუნაზღაურდება წარმოდგენილი თანხის 80% პროცენტი, მაგრამ არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარისა; ბ) მოქალაქეს, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში შეადგენს 70 001-დან 150 001-მდე, აუნაზღაურდება წარმოდგენილი თანხის 60% პროცენტი, მაგრამ არაუმეტეს 1200 (ერთათას ორასი) ლარისა; გ) მოქალაქეს, რომელზეც არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეღავათი, აუცილებლობის შემთხვევაში, მერის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, აუნაზღაურდება წარმოდგენილი თანხის 50% პროცენტი, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარისა; 2. ჰემოდიალიზის კომპონენტის მოსარგებლეთა დახმარება გაიცემა ყოველთვიურად წლის განმავლობაში თვეში 200 (ორასი) ლარი; 3. მედიკამენტით უზრუნველყოფისთვის ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტებზე ერთჯერადად გაიცემა არა უმეტეს 200 (ორასი) ლარისა; ქვეპროგრამის მიზანია პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ფინანსური დახმარება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: ფინანსური დახმარების მიმღებ ბენეფიციართა გაზრდილი რაოდენობა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

5.3. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური

